ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 191

"19" მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.18.03.061.038) 14 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „Organica"-სთვის (საიდენტიფიკაციო № 400056461) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.038) 14 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Organica"-სთვის (ს/ნ 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის №23.550.646 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული 606 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.18.03.061.038) 14 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „Organica"-სთვის (საიდენტიფიკაციო № 400056461) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე